ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №26

24 აგვისტო, 2023 წელი
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნინო კვიტაიშვილი და გიორგი შარაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე – გურამ ოქროპირიძე;
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – გივი ჩხარტიშვილი;
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – ვლადიმერ ბოჟაძე.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის – განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

საკითხი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.**

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს, ირაკლი გვილავას, რომლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად წარმატებით, 2023 წელს დაფინანსდა საერთაშორისო ღონისძიებები (ESU; Eurodesk), სტუდენტური ფესტივალები, თეატრალური ფესტივალები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და სხვა.

ამასთან, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი" 2018 წლიდან წარმატებულად ხორციელდება. 2023 წელს, პროგრამით დარეგისტრირდა 3008 მოქალაქე.

ირაკლი გვილავას განცხადებით, წარმატებით ხორციელდება ასევე სტუდენტთა სწავლის დაფინანსების პროგრამები. 2023 წელს, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 1256 სოციალურად დაუცველი სტუდენტი, 412 წარმატებული მაგისტრანტი, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახიდან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტიდან - 740-მა მიიღო თბილისის მერიის სტიპენდია.

ირაკლი გვილავას განცხადებით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში 180-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა, 35 საიუბილეო და შემოქმედებითი საღამო, 35-მდე ფესტივალი და კონკურსი; დაფინანსდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული 10-მდე პროექტი, გამოფენები და კონცერტები.

2023 წელს, პროგრამის „შემოქმედებითი თბილისის" ფარგლებში დაფინანსდა 15 საგამომცემლო, 2 - ვიზუალური ხელოვნების და 9 - დიზაინის და რეწვის მიმართულების პროექტი. მიმდინარე წელს, მედია-ხელოვნების პროექტებისთვის დამოუკიდებელი მიღება გამოცხადდა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 17 პროექტი.

„ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის" (08 13) ფარგლებში დაფინანსდა 11 პროექტი. დაფინანსდა „ლივინგ მუზეუმი თბილისი", რომელიც სხვადასხვა დამოკიდებულებითი მდგომარეობის მქონე მოზარდთა რეაბილიტაცია-პრევენციას ისახავს მიზნად.

ირაკლი გვილავამ სხდომაზე ასევე წარმოადგინა კულტურული ობიექტების ის ნუსხა, რომელზეც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ:

- ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მერაბ კოსტავას მუზეუმის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ორი ბიბლიოთეკის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- სხვადასხვა საჭიროებები დაუფინანსდა 16 სახელოვნებო სკოლას, მიმდინარე წელს დაგეგმილია კიდევ ერთი სახელოვნებო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სახელოვნებო სკოლებში არამოთხოვნად სპეციალობებზე ფინანსდება 745 მოსწავლე;
- მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 660 მოსწავლეს უფინანსდება სწავლის საფასური;
- მუზეუმების გაერთიანებამ მიიღო BP-ის გრანტი, 200 000 ა.შ.შ დოლარის ოდენობით. გრანტის ფარგლებში აღიჭურვა ამიერკავკასიაში პირველი სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია, მომზადდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის აუდიო გიდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა



კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

ანგარიში

2023 წელი

სპორტი უფროსი თაობისთვის

- პროგრამა ამოქმედდა 2022 წლის ოქტომბრის თვიდან.
- ითვალისწინებს 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, საცურაო აუზებით და ფიტნეს დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობას.
- პროგრამაში ცართულია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორი.
- პროგრამით უკვე ისარგებლა **1 000 - ზე** მეტმა მოქალაქემ.

სპორტული მედიცინის დანერგვის საპილოტე პროგრამა

- პროგრამა საპილოტედ განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ სპორტულ ცენტრებში.
- პროგრამა განხორციელდა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციასთან ერთად.
- პროგრამის ფარგლებში კომპლექსური სამედიცინო შემოწმება/სკრინინგი გაიარა 18 წლამდე ასაკის 500 ზე მეტმა ბენეფიციარმა.
- პროექტის ფარგლებში ჩართული იყო 20-ზე მეტი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი.

„Urban Sport Fest - ურბან სპორტფესტი“



- პროექტის „Urban Sport Fest - ურბან სპორტფესტი“-ს ფარგლებში გაიმართა ტურნირი 3X3 კალათბურთში
- ტურნირში მონაწილეობა მიიღო 24 -მა სამოყვარულო გუნდმა.

სპორტული ინფრასტრუქტურა დედაქალაქში

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები და სპორტული ინვენტარით, ტრენაჟორებით, ტანვარჯიშის სპორტული ინვენტარით და ავეჯით აღჭურვა
- ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სკოლა "ფესვების" მიმდებარედ მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები.
- ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები.
- ქ. თბილისში, დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.
- ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები.
- გუმათჰესის ქ. N1-ის მიმდებარედ სპორტული კომპლექსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.
- დასრულდა ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება მე-2 მიკრო რაიონი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N41-ის მიმდებარედ და ლიბანის ქუჩა N11-ის მიმდებარედ სკეიტ-მოედნების მოწყობის სამუშაოები.
- მიმდინარეობს ქალაქ თბილისის მასშტაბით ღია ტიპის სკეიტ-მოედნების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები.
- ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური ცენტრის ეზოში ორი პადელის მოედანი მოეწყობა.
- ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება.







საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროექტები

- 2023 წელს დაფინანსდა:

✓ საერთაშორისო ღონისძიებები (ESU; Eurodesk)
✓ სტუდენტური ფესტივალები
✓ თეატრალური ფესტივალი
✓ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სხვა.

პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“

- პროგრამა ხორციელდება 2018 წლიდან.
- 2023 წელს პროგრამაში მონაწილეობს 6 პროფესიული კოლეჯი.
- პროგრამაზე რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულ პლატფორმაზე www.dasakmdi.ge .
- 2023 წელს პროგრააზე დარეგისტრირდა 3008 (სამი ათას რვა) მოქალაქე.
- პროგრამის ფარგლებში დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 70 %-ს.

სტუდენტთა სწავლის დაფინანსების პროგრამები

2023 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

- ✓ 1 256 სოციალურად დაუცველი სტუდენტი
- ✓ 740 სტუდენტი მრავალშვილიანი ოჯახიდან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი
- ✓ 412 წარმატებულმა მაგისტრანტმა მიიღო თბილისის მერიის სტიპენდია

სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა

საზაფხულო-ახალგაზრდული პროგრამები



2023 წლის „საზაფხულო პროგრამის“ ფარგლებში, ახალგაზრდები შეძლებენ ისარგებლონ შემდეგი სერვისებით:

- ✓ კარტინგი, მინი გოლფი, სასროლეთი
- ✓ მუნიციპალური საცურაო აუზი
- ✓ ჩოგბურთის კორტები
- ✓ ჯომარდობა
- ✓ ლაშქრობები „თბილისის გარშემო“

2023 წლის საზაფხულო პროგრამებში მონაწილეობას მიიღებს 5 000-მდე ახალგაზრდა.

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (08 05)

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა მიმართულების 180-ზე მეტი პროექტი
- დაფინანსდა თანამედროვე და კლასიკური მუსიკის, ფოტოგრაფიის, ლიტერატურის, კინო და სხვა მიმართულების 35-მდე ფესტივალი და კონკურსი
- დაფინანსდა საიუბილეო და შემოქმედებითი 35 პროექტი
- დაფინანსდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ ინიცირებულია 10-მდე პროექტი, გამოფენები, კონცერტები და სხვა

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (08 05)

- დაფინანსდა 29 ახალი პროექტი, რომელთა ნაწილის საპრეზენტაციო ჩვენება უკვე შედგა
- დედაქალაქის მერის ინიციატივით, წელს პირველად გამოცხადდა დამოუკიდებელი მიღება ქუჩის ხელოვნების, ე.წ. „სტრიტ არტის" პროექტებისათვის.
- ქუჩის ხელოვნების მიმართულებით დაფინანსდა 4 განაცხადი, მათ შორის „თბილისი მურალ ფესტი", და ქუჩის ხელოვნების ფესტივალი „ნიკა".



შემოქმედებითი თბილისი (UCCN)

- 2021 წელს თბილისი გახდა UNESCO-ს „შემოქმედებითი ქალაქების ქსელის" (UCCN) წევრი მედია-არტის, მედია ხელოვნების მიმართულებით.
- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კონკურსში - „შემოქმედებითი თბილისი" გაჩნდა ახალი, პრიორიტეტული მიმართულება - მედია ხელოვნება.
- დაფინანსდა 15 საგამომცემლო, 2 - ვიზუალური ხელოვნების და 9 - დიზაინის და რეწვის მიმართულების პროექტი.
- წელს, მედია ხელოვნების პროექტებისთვის დამოუკიდებელი მიღება გამოცხადდა. დაფინანსდა 17 პროექტი.





„ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა“ (08 13)

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 11 პროექტი
- დაფინანსდა განმავითარებელი როგორც შემეცნებითი პროექტები, ასევე კონკრეტული უნარების შემსწავლელი კურსები
- ასევე დაფინანსდა „ლივინგ მუზეუმი თბილისი“ რომელიც სხვადასხვა დამოკიდებულებითი მდგომარეობის მქონე მოზარდთა რეაბილიტაცია-პრევენციას ისახავს მიზნად

კულტურის ობიექტები დედაქალაქში



- მიმდინარეობს ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- მიმდინარეობს მერაბ კოსტავას მუზეუმის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- მიმდინარეობს ორი ბიბლიოთეკის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.
- სხვადასხვა საჭიროებები დაუფინანსდა 16 სახელოვნებო სკოლას, მიმდინარე წელს დაგეგმილია კიდევ ერთი სახელოვნებო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- სახელოვნებო სკოლებში არამოთხოვნადი სპეციალობებზე ფინანსდება 745 მოსწავლე.
- მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 660 მოსწავლეს უფინანსდება სწავლის საფასური.
- მუზეუმების გაერთიანებამ მიიღო BP- ის გრანტი, 200 000 დოლარის ოდენობით, რითაც აღიჭურვა ამიერკავკასიაში პირველი სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია, მომზადდა ილია ჭავჭავაძის ლიერატურულ-მემორიალური მუზეუმის აუდიო გიდი ქართულ და ინგლისურ ენაზე და აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით.

ინფორმაციის ფენომენი